სახ. საბ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 157 (20498) — შაბათი, 8 ივლისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

საბჭოთა ხელმძღვანელი ბუქარესტში ჩავიდა

ბუქარესტი, 6 ივლისი. (საქდეს). დღეს აქ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგ თათბირში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, დედაქალაქის ოტოპენის აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს, საბჭოთა დელეგაციის წევრებს დახვდნენ რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი კ. დასკალესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ოლტიანუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ-სამხედრო საკითხთა საბჭოს წევრობის კანდიდატები — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ტოტუ, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ვ. მილია და რუმინეთის სხვა ოფიციალური პირნი.

შეხვედრას დაესწრნენ აგრეთვე აქ წინათ ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი დ. ტ. იაზოვი.

დამხვდურთა შორის იყვნენ აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, არმიის გენერალი პ. გ. ლუშევი და სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ე. მ. ტიაჟელნიკოვი.

სურათზე: შეხვედრა აეროპორტში. საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ევროპა ისტორიის ახალ ეტაპზე

დამთავრდა მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი საფრანგეთში

პარიზი, 6 ივლისი. (**საქდესის სპეც. კორ.**). საფრანგეთში მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტის მესამე და დამამთავრებელი დღე დაიწყო დილის 10 საათზე პარიზის დროით. მარინის სასახლეში გაიმართა საფრანგეთის პრეზიდენტთან ფრანსუა მიტერანთან მისი საბოლოო შეხვედრა. მრავალი ქვეყნის ჟურნალისტები ორი სახელმწიფოს მეთაურის გულთბილი, გულითადი ხელისჩამორთმევის მოწმენი გახდნენ, რითაც მათ დადასტურეს უმაღლესი დონის მორიგი შეხვედრის შედეგების გამო კმაყოფილება და დაალოგის განგრძობის კეთილი ნება.

საფრანგეთის პრეზიდენტთან საუბრის დამთავრებისთანავე მ. ს. გორბაჩოვი გაემგზავრა ორლის აეროპორტში. მას გზა ქალაქ სტრასბურგისაკენ უძღვნა.

ორლის აეროპორტში გაცილების ცერემონია საზეიმოც იყო და გულითადიც. ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულდა სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნები. ასობით პარიზელი ორლის გზაზე და აეროპორტის მიდამოებში გზას უღიცავდა საბჭოთა ხელმძღვანელს, თავისი მისალმებებით გამოხატავდა სიმპათიას საპატიო სტუმრისადმი და კმაყოფილებას პარიზში მისი სამი სამუშაო დღის მნიშვნელოვანი შედეგების გამო.

სულ ერთი საათი უნდა საფრანგეთის დედაქალაქიდან სტრასბურგამდე, ევროპის საბჭოს — დასავლეთ ევროპის ყველაზე წარმომადგენლობითი სამთავრობათშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინამდე ჩაფრენას, რომელიც ევროპის 23 სახელმწიფოს აერთიანებს. და თუმცა მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის მოსალოდნელი თემატიკა აქ, საბჭოს საპარლამენტო სესიაზე, როგორც ვარაუდობენ, გასცილდება ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს, ფრანგები ამჯობინებენ ერთმანეთს არ დააშორონ 1989 წლის პარიზის ზაფხულის ეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა. ტფ-1 ტელეკომპანიის მიმომხილველის აზრით, პარიზი და სტრასბურგი „ორი მნიშვნელოვანი ბლოკია ევროპის თანამშრომლობის საძირკველში, რომელი ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი, უეჭველად, მიხეილ გორბაჩოვია“.

სტრასბურგის აეროპორტში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს დახვდნენ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელები, მინისტრების კომიტეტისა და სამდივნოს წევრები. აქვე იყო საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი როლან დიუმა. აეროპორტიდან ევროპის სასახლემდე მიმავალ გზაზე, სადაც რამდენიმე დღის წინათ გიიხსნა საპარლამენტო ასამბლეის საზეიმოზეიმო სესია და სადაც ყველაფერი მზად არის სტუმრის მისალებად, მ. ს. გორბაჩოვს გულთბილად მიესალმნენ სტრასბურგის — ელზასის ძველი დედაქალაქის, ქვემო რაინის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრის მცხოვრებნი.

არაფორმალური და გულითადი შეხვედრა მოუწყვეს მ. ს. გორბაჩოვს ევროპის სასახლის შესასვლელთან. მას წარუდგინეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ბიუროს წევრები. მან ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს ოქროს წიგნში. შემდეგ ყველანი ევროპის პარლამენტის სხდომათა დარბაზში შევიდნენ.

სტუმარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ანდრეს ბიერკმა.

შემდეგ შეკრებილთ მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა.

საპარლამენტო ასამბლეის წევრებმა ინტერესით მოისმინეს საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვა და თავიანთი აზრი ხანგრძლივი ტაშით გამოხატეს.

* * *

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ევროპის მინისტრების საბჭოს კომიტეტის წევრებს, აგრეთვე საბჭოს გენერალურ მდივანს ქალბატონ კ. ლალიუმიერს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის საბჭოს მინისტრების კომიტეტის ხელმძღვანელობის სახელით საუზმე გაუმართეს საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს. საუზმეზე სადღეგრძელოები წარმოთქვეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ა. ბიერკმა, ევროპის მინისტრების საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ ტ. სტოლტენბერგმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა.

* * *

აღმოსავლეთ საფრანგეთში მდებარე პატარა ქალაქ სტრასბურგში, რომელიც რაინის შესართავის რაიონში მდინარე ილზეა გაშენებული, დღეს მოხდა ფრიად ელექტრაორდინარული ამბავი. ევროპის კონტინენტისა და მთელი მსოფლიოს მილიონობით მცხოვრებმა სტრასბურგიდან პირდაპირი სატელევიზიო გადაცემის მეშვეობით ირწმუნა მშვიდობიანი ევროპის რეალური შენობის არსებობა, რომლის სახე ასე დამაჯერებლად და მკაფიოდ წარმოადგინა თავის მიმართვაში ევროპის პარლამენტისადმი საბჭოთა ხელმძღვანელმა.

ევროპის ქალაქებში გამოვიდნენ ქუჩებში, რათა მისთვის წარმატება და გზა მშვიდობისა ესურვებინათ.

საღამოს აეროპორტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გააცილეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ა. ბიერკმა, ქალაქ სტრასბურგის მერმა ქალბატონმა ჟ. ტროტმანმა და ქალაქ ენტზენის მერმა ფ. დებმა. მასთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ვორონინი და სხვა ოფიციალური პირნი, რომლებიც მას თან ახლავან.

ილ-62 ავიალაინერმა კურსი ბუქარესტისაკენ აიღო.

ი. ლოკაჩიანი,
ნ. ქელეზნოვი,
ვ. ჩუქსლეევი,
გ. ზიუკინი.

თათბირზე ბუქარესტში

6 ივლისს მოსკოვიდან ბუქარესტში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე გაემგზავრნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საფრანგეთში.

აეროდრომზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი დ. ტ. იაზოვი გაიცილეს ამხანაგებმა ლ. ნ. ზაიკოვმა, ა. პ. ბირიუკოვამ და გ. პ. რაზუმოვსკიმ.

* * *

ამავე დღეს ნ. ი. რიჟკოვი და დ. ტ. იაზოვი ჩავიდნენ ბუქარესტში. ოტოპენის აეროპორტში მათ დახვდნენ რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ-სამხედრო საკითხთა საბჭოს წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი კ. დასკალესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ-სამხედრო საკითხთა საბჭოს წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მილია და სხვა ოფიციალური პირნი.

(საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

რესპუბლიკის საზოგადოებრიობა სერიოზულად არის შეშფოთებული დემოგრაფიული პრობლემით, მიმდინარეობს მისი გადაწყვეტის გზების ინტენსიური ძიება. ერის სოციალური მოთხოვნილება კონკრეტულად გამოიხატა მთავრობის დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების კონცეფციის პროგრამის შემუშავების შესახებ“, რომელიც პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზეა მიღებული. მინისტრთა საბჭომ დაავალა მეცნიერებათა აკადემიას შექმნას მეცნიერთა ალტერნატიული ჯგუფები, რათა ოპერატიულად შეიმუშაონ კომპლექსური პროგრამა, რომელსაც დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ცხოვრებაში. ამ საარსებო მნიშვნელობის პრობლემის ოპერატიული საფუძვლიანი და ყოვლისმხრივი გადაჭრისათვის ამა წლის 15 ივლისამდე შემუშავებული იქნება ღია კონკურსის დებულება თვალსაჩინო სპეციალისტებისა და სამეცნიერო კოლექტივების მონაწილეობით.

სამუშაოებში გათვალისწინებული და დასაბუთებული უნდა იყოს დემოგრაფიული განვითარების ყველა სოციალური, ეკონომიკური, ეროვნული, ახალგაზრდული ასპექტი ღრმა პერსპექტივით. ისინი 1 დეკემბრამდე გამოქვეყნდება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით საყოველთაო სახალხო განხილვისათვის და საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციის კარდინალური გაუმჯობესების ვრცელი რესპუბლიკური კომპლექსური ეტაპობრივი პროგრამის შემდგომი მიღებისათვის.

მთელი ამ მუშაობის შესათანხმებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ო. ქვილითაიას მეთაურობით.

ახალი მიდგომები, მზარდი პასუხისმგებლობა, სისტემურობა სულ უფრო მეტად ხდება ნორმა გარდაქმნითს მუშაობაში. ამ თვალსაზრისით პრეზიდიუმში საგანმარტივად განიხილეს მთავრობის მიერ წინათ მიღებულ მთელ რიგ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა. რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებთათვის ზარუნვით არის ნაკარნახევი 1986-1990 წლებში ქალაქ თბილისს სატელეფონო ქსელის დაჩქარებული განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის ყოველმხრივი განხილვა. მისი განხორციელების არადამაკმაყოფილებელ ტემპს, მკაცრი და პრინციპული შეფასება მიეცა. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს და სახელმწიფო აგენტმა კომიტეტს მიეცათ დავალება აღმოფხვრან დაშვებული ჩამორჩენა და დაიჩქარონ ისეთი ახალი თანამედროვე ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობის ტემპი, რომლებიც არა მარტო მოხსნიან თბილისის ტელეფონიზაციის პრობლემას, არამედ ძირეულად გადაჭრიან მას ქალაქისა და მისი რაიონების ზრდის პერსპექტივის გათვალისწინებით.

კრიტიკულად არის გაანალიზებული „ჩაის პლანტაციების აღდგენის დაჩქარებისა და ჩაის ხარისხის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური. კომიტეტისა და რუსუბლიკის მთავრობის მეორე ერთობლივი დადგენილების რეალიზაციის მდგომარეობაც, რომლის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის.

განიხილეს თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საქმიანობის საკითხი, თუ როგორ ასრულებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კომპლექსური პროგრამას. არასაკმარისად ძიიჩნია რა გაწეული მუშაობა, მინისტრთა საბჭომ დასახა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და რაიონის მოსახლეობისათვის საქონლის წარმოების ეფექტიანობის გაზრდის ოპერატიული ღონისძიებანი.

მთავრობის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილებანი „საქართველოს სსრ გაზიფიკაციის ტემპის შემდგომი დაჩქარების შესახებ“ და „მანქანათმშენებელ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელთა განხორციელება დინამიზმს მიანიჭებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

თბილისელთა საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, უდავოდ, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელიც მოქალაქეობას შესაძლებლობას მისცემს თავის ხარჯზე მიაშენოს ლოჯიები და სხვა დამხმარე სათავსები სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღლივ (9 სართულამდე) სახლებში.

წალკის რაიონში ძველი ქართული სოფლების რეხისა და აშკალის აღორძინება-განახლებას შეუწყობს ხელს მთავრობის შეამდგომლობა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე იქ სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ.

პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენებისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, განიხილა აგრეთვე უმაღლესი სკოლის სრულყოფის, სახალხო განათლების განვითარების, რესუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების და სხვა მთელი რიგი აქტუალური საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელში მთელი სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრის გზაზე. მან დამაჯერებლად დაადასტურა, რომ ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნისათვის კომუნისტური პარტიის კურსს მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პირველი რიგის ამოცანები განიხილეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წარმომადგენლებიც.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის „ყოველმხრივ აღმავლობა“, სუფთაქვლად უნდა დაედოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების მთელ საქმიანობას. ყრილობაზე გამოთქმული ნოვატორული, კონსტრუქციული იდეები უნდა განვაზოგადოთ და გამოვიყენოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, რესპუბლიკის ყველა საბჭოთა ორგანოს მუშაობაში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისათვის მზადებაში.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა უნდა განიხილონ ყრილობაზე აღძრული საკითხები, რომლებიც ეხება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, და განახორციელონ მათი რეალიზაციის ღონისძიებანი. ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათავეში უნდა იაუდგნენ მოსახლეობის, ახალგაზრდობის, თვითმოქმედი საზოგადოებრივი ფორმირებების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ზრდის პროცესს.

სხდომაზე განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი — შესაბამისი კანონის მიღებამდე — წესის შესახებ. კერძოდ, დადგენილია, რომ ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მოიცავს რესპუბლიკის ტერიტორიას ან რესპუბლიკური დაქვემდებარების ერთზე მეტ რაიონს ან ქალაქს, თავიანთ წესდებებს წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომელიც თვითონ ატარებს რეგისტრაციაში ამ წესდებებს ან შეუძლია გადასცეს ისინი რეგისტრაციისათვის შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა თუ უწყებებს. ხოლო ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა მოიცავს რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონის თუ ქალაქის ტერიტორიას (ქალაქის რაიონს), თავის წესდებას წარუდგენს შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს. წესდება რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად და ხელს აწერდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარე, მას უნდა დაერთოს ყრილობის ან კონფერენციის დამფუძნებელი კრების ოქმის პირი.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის სახელწოდებათა აღდგენის შესახებ. შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სამუშაო კომისია, რომელიც შეისწავლის იმ მოქალაქეთა განცხადებებს, რომლებიც სისტემატურად მიმართავენ საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოებს.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს გაზეთ „კომუნისტში“ აწ 5 ივლისს გამოქვეყნებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის მიმართვა რესპუბლიკის დეპუტატებისადმი „დროულად და ერთობლივად გადაეჭრათ საჭირბოროტო საკითხები“, მოიწონეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის მესამე კვარტალის ძირითად ღონისძიებათა გეგმა, იმსჯელეს სხვა საკითხებზე.

(საქინფორმი).

„დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 156.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

5 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია განაგრძობდა მუშაობას.

სესიის განსახილველად გამოაქვთ საკითხი სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის პოსტზე ვ. ა. ბრეჟნევის დანიშვნის შესახებ.

ვ. ა. ბრეჟნევს წინადადება მიეცა გააცნოს შეკრებილთ დარგის მომავალი საქმიანობის კონცეფცია.

ორატორმა თქვა, რომ სატრანსპორტო მშენებლებს ეკისრებათ რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, ხიდების, მეტროპოლიტენების, სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა, ამასთანავე აღნიშნა, რომ დარგი სტაბილურად მუშაობს. მან დაასახელა ამის დამადასტურებელი მონაცემები. ახლა სამინისტროს შრომითი კოლექტივები თავიანთი ძალებით ასრულებენ 7 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაოებს. ამ მოცულობის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს ითვისებენ სხვა უწყება-სამინისტროთა ორგანიზაციები.

შეეხო რა დარგის საშინაო პრობლემებს, ვ. ა. ბრეჟნევმა თქვა, რომ ყველაზე მწვავედ დგას სოციალური სფეროს პრობლემები. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ჩვენ მომთაბარეულ ცხოვრებას ვეწევით, აქედან გამომდინარე ყველა შედეგიანურთ. ამჟამად საბინაო მშენებლობის ტემპი იზრდება.

დარგის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო ადგილია მოუთმენელი სამუშაოები. შექმნილი სიტუაციის გამოსავალია აქტიური გადასვლა თვითდაფინანსებასა და თვითთანაზღაურებაზე. ამ სქემით მუშაობის წელიწად-ნახევარმა უკვე მოიტანა დადებითი შედეგები. კერძოდ, შემუშავებულია სატრანსპორტო მშენებლობის ტექნოლოგიის განვითარებაში უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევის პროგრამა. იგი მოიცავს სამუშაოთა წარმოების ვადების შემცირებას, მათი ხარისხის გაუმჯობესებას, მასალატევადობისა და ხელის შრომის დანახარჯების შემცირებას. დოკუმენტი განიხილეს ყოველ შრომის კოლექტივში, მის დებულებებს ახორციელებენ.

დეპუტატებმა **გ. პალაევმა** და **ნ. თ. ბალეშევმა** გამოთქვეს აზრი ვ. ა. ბრეჟნევის კანდიდატურის, სამინისტროში საქმის მდგომარეობის შესახებ.

ვ. ა. ბრეჟნევი დაინიშნა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია იღებს დადგენილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობაში დეპუტატთა ჯგუფის დამატებითი არჩევისა და ერთი კომისიიდან მეორეში ცალკეულ დეპუტატთა გადაყვანის შესახებ.

დეპუტატებმა იმსჯელეს საპროცედურო ხასიათის ზოგიერთ საკითხზე.

დეპუტატთა ჯგუფმა გააკეთა განაცხადი იმ ინციდენტის გამო, რომელიც 4 ივლისს შეემთხვა საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავს. ამ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი **ბ. ა. ომელჩენკო.**

პალატების გაერთიანებული სხდომა დახურულად ცხადდება.

* * *

ეძვს ივლისს დილის 10 საათზე გაისმა სხდომის თავმჯდომარის ზარის წკრიალი, შეწყდა გუგუნი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა. გრძელდება სსრ კავშირის აჭალი მთავრობის შემადგენლობის ფორმირება.

სხდომის თავმჯდომარემ **ა. ი. লুკიანოვმა** გამოაცხადა, რომ ნ. ი. რიჟკოვის წინადადებით სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის ვაკანტურ თანამდებობაზე რეკომენდაცია ეძლევა ნ. ა. პანიჩევს. იგი 1986 წლიდან მეთაურობს ამ დარგს. გადაწყვეტილება კანდიდატობის თაობაზე მიღებულია ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მუშაკთა ფართო აქტივის აზრთა გათვალისწინებით.

წინადადება ნ. ა. პანიჩევის კანდიდატურის შესახებ განსახილველად გადაეცა კავშირის საბჭოს შესაბამის კომისიას.

დეპუტატთა განსახილველად გამოაქვთ საკითხი, რომ ვ. მ. ველიჩკო დაინიშნოს სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის თანამდებობაზე.

ვ. მ. ველიჩკოს დაეთმო ტრიბუნა ხანმოკლე გამოსვლისათვის. მისი აზრით, სამინისტროს ბევრი ოპერატიული ფუნქცია უნდა გადაეცეს საწარმოებს, ხოლო თვით სამინისტრო მოწოდებულია ძირითადი ყურადღება დაუთმოს განვითარების სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას. ორატორმა მაგალითად მოიყვანა საწარმოთა გაერთიანებებისა და ასოციაციების შექმნა. ამ პროცესმა მხარდაჭერა პოვა სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროში.

გაანალიზა რა დარგის საქმიანობა, მთავრობის წევრობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ საჭიროა არსებითად დაჩქარდეს საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განსლების ტემპი, მიიღწიონ მოწყობილობის უფრო ეფექტიან დატვირთვას, ამასთან უკეთ გამოიყენონ მეცნიერული პოტენციალი.

დეპუტატებს აცნობეს, თუ როგორ კმაყოფილდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება სხვადასხვა სახეობის მოწყობილობასა და ტექნიკაზე. ორატორმა დაფვრილებით ილაპარაკა საწარმოთა ძირითადი ფონდების განახლების, რეკონსტრუქციის, ტექნიკური ხელახლა აღჭურვის, მასალებისა და შრომითი დანახარჯების ეკონომიისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ.

გამოსვლაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობის სრულყოფის საკითხებს. ამ თვალსაზრისით, თქვა ორატორმა, სამინისტროთა საქმიანობის პროგრამა, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს საფეანსო და სახელშეკრულებო დისციპლინის გაძლიერებას, თავისი საინვესტიციო ბანკის შექმნას, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდას.

დარგის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, მათს გადაჭრაში მინისტრობის პრეტენდენტის როლი გაამუქეს თავიანთ გამოსვლებში დეპუტატებმა **ვ. პ. ლუკანინმა, ს. ვ. კატილევსკიმ, ნ. ვ. მანკოს, ნ. ი. ბაბჩენკომ, კ. ვ. ფროლოვმა, ე. ა. პამფილოვამ** და **ვ. ვ. ვოლოგდინმა.**

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, დაინიშნოს ვ. მ. ველიჩკო სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრად.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის პოსტზე რეკომენდაცია ეძლევა მ. ი. შაადოვს.

სხდომის თავმჯდომარემ იგი ტრიბუნაზე მიიწვია დარგის საქმიანობის გასაუქეტესად და დეპუტატთა კითხვებზე პასუხის გასაცემად.

თავის გამოსვლაში **მ. ი. შაადოვმა** გააანალიზა დარგის ამოცანები და სამინისტროს ძირითადი ფუნქციები მათს რეალიზაციაში. ქვანახშირის მრეწველობა, თქვა მან, ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელშიც დღეს 2,7 მილიონი მეშახტეა დასაქმებული. მძიმე და საშიშია მათი შრომა.

წინა ხუთწლედში დარგში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო, მიმდინარე ხუთწლეულში იგი უფრო სტაბილურად მუშაობს, ძირითადად უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება, იზრდება შრომის ნაყოფიერება.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. არ არის საკმაოდ მაღალი ქვანახშირის ხარისხი. საჭიროა უფრო აქტიურად სრულყოთ მმართველობის სტრუქტურა, გავამსხვილოთ საწარმოები, უფრო ფართოდ მივანიჭოთ მათ დამოუკიდებლობა. 59 წელიწადია, დარგი ზარალით დაგეგმილთა რიცხვს განეკუთვნება, და ეკონომიკური რეფორმის პირობებში ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადაჭრათ. უნდა მივაღწიოთ იმასაც, რომ სხვა დარგები გვირიცხავდნენ იმ ვალუტას თუნდაც ნაწილს, რომელსაც ჩვენი დარგის წყალობით გამოიმუშავებენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელში მთელი სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრის გზაზე. მან დამაჯერებლად დაადასტურა, რომ ქვეყნის დემოკრატიზ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამა წლის 5 ივლისის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის მიმართვა რესპუბლიკის დეპუტატებისადმი — „დროულად და ერთობლივად გადავჭრათ საჭირბოროტო საკითხები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საჭიროდ მიიჩნია რესპუბლიკის საზოგადოებრიობას და დეპუტატებს აცნობოს, რომ მიმართვაში აღძრულ მნიშვნელოვან საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა და ა. წ. 20 ივნისის დადგენილებით ამ საკითხების შესასწავლად შექმნა კომისიები და სამუშაო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერები და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმ.

შეიქმნა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წელს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისია, რომლის თავმჯდომარეა დეპუტატი ა. დ. ალექსიძე. კომისიის შემადგენლობაში არიან: ლ. ა. ალექსიძე, ო. ი. გიგინეიშვილი, რ. შ. თაბუკაშვილი, ი. მ. კაჭარავა, ნ. ი. კიკვიძე, ლ. ნ. მატარაძე, ა. მ. მენთეშაშვილი, ზ. ვ. ყვანია, უ. ი. სიდამონიძე, დ. გ. სტურუა, ა. ნ. სურგულაძე, ი. მ. ტაბაღუა, გ. ი. ფანჯიკიძე, გ. დ. ჯავახიშვილი.

რესპუბლიკაში ინიციაციული პროცესების შესასწავლად და სათანადო წინადადებების შესამუშავებლად შექმნილია კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს დეპუტატი ჯ. ა. ჩარკვიანი. კომისიის წევრები არიან: ა. მ. აფაქიძე, შ. ვ. გორგოძე, რ. ბ. გორდეხანი, ვ. ვ. გუჯაბიძე, ა. ნ. კაკაძე, მ. კ. მამარდაშვილი, რ. ვ. მეტრეველი, გ. ზ. მირიანაშვილი, თ. ნ. ონიანი, ლ. დ. სანიკიძე, რ. ტ. საყვარელიძე, ა. ვ. სულბერიძე, მ. გ. უგრეხელიძე, ვ. მ. შამილაძე, გ. შ. ციცაშვილი, ვ. შ. ჯაოშვილი.

საკონსტიტუციო კომისიასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფები: საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელებისა — თავმჯდომარე თ. გ. შავგულიძე, წევრები: ე. დ. ამაშუკელი, ა. ვ. ბაქრაძე, ვ. ო. კობახია, ვ. გ. ლორთქიფანიძე, გ. დ. ლორთქიფანიძე, მ. ი. მაჭავარიანი; საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შემოღების შემმუშავებელი — თავმჯდომარე ს. მ. ჯორბენაძე, წევრები: ს. ი. გოგიბერიძე, ტ. ვ. როსტიაშვილი, გ. ი. ფანჯიკიძე, ვ. ა. შარაშენიძე, თ. გ. შაშიაშვილი, ნ. ზ. ჭავჭავაძე, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონთა მოქმედების პირობების შემმუშავებელი — თავმჯდომარე, დეპუტატი ა. ი. კავსაძე, წევრები: ო. კ. გონაძე, გ. ხ. ემირიძე, ზ. ა. კვაჭაძე, ნ. გ. ჩერქეზიშვილი, თ. ნ. ჩხეიძე; ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წვეულებლთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე მოხდის საკითხების შემმუშავებელი — თავმჯდომარე, დეპუტატი გ. ნ. ენუქიძე, წევრები: ა. ა. კიმაზოვი, შ. დ. კიკნაძე, ი. ნ. ციცაშვილი, მ. მ. ხანანაშვილი.

აღნიშნული კომისიები და სამუშაო ჯგუფები შეუდგნენ საქმიანობას. მათ სერიოზული მუშაობა მოუწევთ სრულყოფილი დოკუმენტების შესაქმნელად. კომისიები და სამუშაო ჯგუფები თავიანთი საქმიანობის თაობაზე პრესისა და ტელევიზიის საშუალებით სისტემატურად მიაწვდიან ცნობებს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სხდომებზე რეგულარულად განიხილავს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგებს.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონს, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონსა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების მოსამზადებლად შექმნილი კომისია გ. გ. გუმბარიძის თავმჯდომარეობით მუშაობს. ამ კომისიაშია 70-მდე დეპუტატი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

უაღრესად მნიშვნელოვანია კომისიის თითოეულმა წევრმა გაითვალისწინოს, რომ სადღისო მოცანაა აღნიშნულ დოკუმენტებში შევიტანოთ მომწიფებული, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი, გადაუდებელი ცვლილებები. კონსტიტუციის და არჩევნების შესახებ კანონპროექტებს პრეზიდიუმის სხდომაზე მსჯელობის შემდეგ საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოიტანენ და მხოლოდ შემდეგ გახდება სესიის მსჯელობის საგანი. ასევე წარედგინება საზოგადოებრიობასა და სესიას ზემოაღნიშნული კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების დასკვნები და კანონპროექტები.

ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი კომისია და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია განაგრძობენ მუშაობას. შედეგებს მოახსენებენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს სესიასა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას.

რამდენადაც დიდი სამუშაოა გასაკეთებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევა ნავარაუდევია არა უგვიანეს ა. წ. სექტემბრისა.

ზემოაღნიშნული კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში სურვილისდა მიხედვით მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დეპუტატს.

ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. ტელეფონები: 93-32-93; 93-16-10; 99-05-48.

სამუშაო უამრავია

აჭარელთა ახალმოსახლეობა

ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა რაიონმა მიიღო სვანეთიდან და მთიანი აჭარიდან გადმოსახლებულები, რომლებიც სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალდნენ. ახალი დასახლების ადგილებში მათთვის აშენდა სოფლები, სადაც არის სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები, უზრუნველყოფილი არიან სამუშაოთი.

რესპუბლიკის მთავრობა, ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები, შექმნან საიმისო პირობები, რომ მათ რაც შეიძლება მალე იგრძნონ თავი ახალი სამკვიდროს სრულუფლებიან ბატონ-პატრონებად.

— რა კეთდება ამისათვის, რა ღონისძიებებს მიმართავთ, როგორ ხვდება ადგილობრივი მოსახლეობა გადმოსახლებულებს? — პკითხა საქინფორმის კორესპონდენტმა გურამ ქანიშვილმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ოთარ ძანლიერიასს.

— ამთავითვე ვიტყვი, — ამბობს ბატონი ოთარი, — რომ ახალ ადგილებზე უნდა დავასახლოთ სვანეთიდან და მთიანი აჭარიდან ჩამოსული 5.050 ოჯახი. მათ ემატება კიდევ თითქმის 3.500 ზემო იმერეთის რაიონებიდან გადმოსახლებული... ამოცანა ძალზე რთულია, თუ გავითვალისწინებთ დროის უმწვავეს დეფიციტს — ზაფხული ხომ სამ რეგიონში, სადაც ნავარაუდევია ახალი სოფლების მშენებლობა, ძალიან ხანმოკლეა. მაგალითად, ჯავახეთში ზამთარი უკვე ოქტომბრის დამლევს-ნოემბრის დამდეგს დგება. მაშასადამე, საჭიროა მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაცია. მთელ რიგ სირთულეებს ემატება სამშენებლო სიმძლავრეთა მწვავე ნაკლებობაც. თავად განსაჯეთ: მათი 40 პროცენტი ჩვენ მოძმე სომხეთის დასახმარებლად გამოვიყენეთ დეკემბრის დამანგრეველი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის, 10 პროცენტი უკრაინაშია, სლავუტიჩში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვიხდება ამის მხოლოდ ნახევრის მანვერირება, რაც გვაქვს...

— როგორ ორიენტირებულ თავს საქმეს?

— ამოქმედებულია მთელი რეზერვები, საქმეში ჩაბმულია პრაქტიკულად ყველა სამინისტრო და უწყება. ძალიან დიდ იმედს ვამყარებთ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტთა დახმარებაზე, რომლებიც შრომითს სემესტრს ახალი სოფლების მშენებლობაზე გაატარებენ. სხვათა შორის, სტუდენტთა პირველი რაზმები უკვე ჩამოვიდნენ სამხრეთ საქართველოს რაიონებში და შეუდგნენ მუშაობას.

— ჩვენ ვიცით, რომ მთიანი აჭარიდან გადმოსახლებულთა ნაწილი ჯერჯერობით რკინიგზის ვაგონებში ცხოვრობს...

— არა მარტო ვაგონებში, არამედ კარვებშიც. მრავალი მათგანი დროებით შეიხიზნეს თავიანთ სახლებში ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის რაიონების მცხოვრებლებმა. გარდა ამისა, ნაწილი დავასახლეთ ტურბაზებშიც. ასე რომ, როგორც ზედაფთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მშენებლობის დაყოვნება.

— როგორი სახლები შენდება მათთვის?

— აი, აქ ჯერჯერობით ჩვენი ყველაზე „სუსტი წერტილია“. თქვენ, რა თქმა უნდა, ნახეთ ახალი სოფლები, სადაც მრავალი გადმოსახლებული ცხოვრობს. უდავოდ, ლამაზია, სახლები მოსახერხებელი, მაგრამ... ერთფეროვანია. სიბნელეში ადვილია ერთმანეთში აგერიოს. ადამიანებს კი, განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებლებს, სურთ თავისებურება, განუმეორებლობა. ჩვენ მივეცით დავალებანი ინსტიტუტებს, რათა შეიმუშაონ სახლების სხვადასხვაგვარი პროექტები, მაგრამ ამ საქმეს ისინი შეუწყნარებლად აჭიანურებენ. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ დღეს გვაქვს ერთი პროექტის თითქმის ასი მზა ვარიანტი. მაგრამ ეს სულაც არ არის ის, რაც საჭიროა. ახალმოსახლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აირჩიონ პროექტი თავიანთი სურვილით, თავიანთი მოთხოვნილებებისა და გემოვნების შესაბამისად. ადამიანი ხომ სახლს ერთი ან ორი წლით კი არა, ათწლეულებისათვის იშენებს, გადასცემს მას თავის შვილებსა და შვილიშვილებს, მშენებლობის პროგრამაზ გათვალისწინებულია ორი წლისათვის. ასე რომ, საქმე ბევრია.

— რას იტყვით პირობებზე, რომლებიც გადმოსახლებულებისათვის იქმნება?

— ვცდილობთ მაქსიმალურად გავთვალისწინოთ ყველა მათი სურვილი. ის კი არადა, არ ვარღვევთ ნათესაველის, მეზობლების დასახლების საუკუნეობით ჩამოყალიბებულ პრინციპებს. მაგრამ ეს, ასე ეთქვათ, მორალური მხარეა. არანაკლები, თუ არა მეტი, მნიშვნელობა აქვს მატერიალურ მხარეს. ყველა ოჯახი, რომლებიც ახალ ადგილას სახლდებიან, იქ სახელმწიფოს ხარჯზე მიჰყავთ. მათ ეძლევათ მშენებლობისათვის გრძელვადიანი სესხი, კრედიტები მოწყობისათვის. გარდა ამისა, ახალ ადგილას, ჩაბარებულის ნაცვლად, მათ, შეუძლიათ მიიღონ უფრო პროდუქტიული ჯიშის ძროხები. ბევრი რამ კეთდება სურსათით, სამრეწველო საქონლით, სათბობით უზრუნველყოფისათვის. უკვე შექმნილია ამის საჭირო მარაგი, რაც შეიძლება დასაჭირდეთ ახალმოსახლეებს.

— ვინ აკონტროლებს მთელ ამ მუშაობას?

— დიდ მუშაობას ეწევა მთავრობის კომისია ნ. ა. ჭითანავას მეთაურობით. გარდა ამისა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, მთელ რიგ რეგიონებში, სამინისტროებთან და უწყებებთან შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომელთა მოვალეობაში შედის ამ პასუხსაგებ და კეთილმობილურ საქმეზე დასაქმებული ყველა ორგანიზაციის მოქმედების კოორდინაცია. დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს გადმოსახლებულთა ნორმალური პირობების შექმნისათვის. ესენი არიან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. ლაბახუა, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ე. ჩიგოგიძე. განსაზღვრული უბანი დამეკალა მეც.

ზემოთქმულს უნდა დავსძინო, რომ სამი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებში, სადაც ასახლებენ ხალხს, შექმნილია თავმჯდომარის მოადგილის სპეციალური შტატი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გადმოსახლებულთა საქმეებს განაგებს, ადგილზე ოპერატიულად გადაჭრის ყველა საკითხს.

— და ბოლოს. კმაყოფილი არიან თუ არა ახალი ადგილებზე გადმოსახლებულნი?

— რა თქმა უნდა, პირველ ხანად გაუჭირდებათ. მაგრამ ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა მათ რაც შეიძლება სწრაფად მოიშუშონ სულიერი ტრავმა. ამას წინათ ქორწილში დაგვპატიჟეს სოფელ ტანძიაში, სადაც გადმოსახლებულებმა ახალი ოჯახი შექმნეს. ეს კი ნიშნავს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, სიცოცხლე გრძელდება...

— მინდა რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს აღვუთქვა, — თქვა დასასრულ ბატონმა ოთარმა, — რომ ჩვენ მადლიერებით მივიღებთ ყოველგვარ დახმარებას — მატერიალურს, ფიზიკურსა თუ მორალურს. ეს დაეხმარება გაურკვევლობაში ჩავარდნილ ადამიანებს, ხელს შეუწყობს ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათს ადაპტაციას.

თბილისში მცხოვრები აზერბაიჯანელების მიმართვა

მარნეულის, ბოლნისის, დმანისის და გარდაბნის რაიონების მშრომელებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო, თანამემამულენო!

ქ. თბილისში მცხოვრები ყველა აზერბაიჯანელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, დიდად შეშფოთებული ვართ ამ ბოლო დროს მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში მომხდარი, ამბებით. კეთილი ნების საღად მოაზროვნე ადამიანს შეუძლებელია სურდეს ეროვნული შუღლის ჩამოგდება მრავალი საუკუნის მანძილზე ერთ მიწაზე მცხოვრებ ხალხებს შორის.

საქართველოს მიწა და ქართველი ხალხი ცნობილია თავისი შეგნებით, კეთილშობილებით და სტუმართმოყვარეობით, დიდი მეგობრული ტრადიციებით. საქართველოში მცხოვრები ყველა ერის ნაწარმამადგენელი თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს ამ ტრადიციებს, იცავდეს საქართველოს ინტერესებს. ნებისმიერი არაქართველის პირდაპირი ვალია ქართველ ხალხთან ერთად ყოველდღიური შრომითი საქმიანობით იბრძოდეს საქართველოს კეთილდღეობისათვის, მისი ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. ნუ დავთესავთ ჩვენს ხალხებს შორის ეროვნულ შუღლს, რომელიც მოუშუშებელ იარად დარჩება და თაობიდან თაობას გადაეცემა. ეს ხომ უგნურებაა! გონიერებამ უნდა დაამარცხოს უგუნურება.

ჩვენ ყველას გვწამს და გვჯერა: საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი არავის ჰკრავს ხელს, და თუ წამოიჭრება რაიმე პრობლემა, რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლივ გულთან ახლოს მიიტანს და მოაგვარებს ისე, რომ არ შეიღახოს არც ერთი ერის ეროვნული თუ პოლიტიკური ინტერესები.

დღეს, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი ძვრებია ყოველი ერის დამოუკიდებლობისათვის მოძრაობაში, საქართველოში მცხოვრები ყველა არაქართველის ვალიცაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიღწევაში. სნორად დღეს საქართველოში მცხოვრები არაქართველნი განსაკუთრებით უნდა შეკავშირდნენ ქართველი ხალხის გარშემო ერთ ოჯახად, რათა მივაღწიოთ დიდი ხნის ნანატრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

უნდა გვახსოვდეს, საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანი ერების ერთიანობამ დაგვამარცხებინა ფაშისტური გერმანია.

ადილფაშა როსტომოღლი, ზემო ვეძისის ქ. № 63/7; ყურბანოვი დურსუნ ყურბანის ძე, ვაზისუბნის ქ. № 55; ველიევი აბაზა, ჩერქეზიშვილის ქ. № 37ბ, დალიკალოვი მამედ, ზემო ვეძისის ქ. № 21; შახვერდოვი ბახრამ, ანაგის ქ. № 59; აჯალოვი ჯემალი, ზემო ვეძისის ქ. № 69; ყურბანოვი ფრიდონ ყურბანის ძე, ვაზისუბნის ქ. № 55; ყურბანოვი აბაზი, ვაზისუბნის ქ. № 55; გუშნაროვი საბირ, გრიშაშვილის ქ. № 4; აჯალოვი ალიკა, ზემო ვეძისის ქ. № 69; ბაირამოვი ალი ქარუმის ძე, ანაგის ქ. № 66; ნასიბოვი ისმაილ თანვერდის ძე, ანაგის ქ. № 69; მამედოვი ასრათ, ანაგის ქ. № 61; ყურბანოვი ბაირამ, ვაზისუბნის ქ. № 7; და სხვები. სულ 63 კაცი.

(საქინფორმი).

სადმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს

ამ ბოლო ხანს ბოლნისის, მარნეულისა და დმანისის რაიონებში მომხდარმა ამბებმა აღაშფოთა და შეაშფოთა ჩვენი რესპუბლიკის ყველა პატიოსანი ადამიანი, მათ შორის საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებიც. ჩვენ გულისწყრომით ვგმობთ ექსტრემისტებსა და ხულიგნებს, პროვოკაციულად რომ გამოიწვიეს უწესლრიგობანი, რის შედეგადაც სისხლი დაიღვარა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მე და სხვა ამხანაგები რამდენიმე დღეს ვიყავით ჩემი მშობლიური ბოლნისის რაიონის ბევრ აზერბაიჯანულ სოფელში და ხალხს შეეხვედით. ყველანი, ვისთანაც კი ვისაუბრეთ, ერთსულოვნად გმობენ წამქეზებლებს, რომლებიც თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებთ გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ აზერბაიჯანელთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობას და ურთიერთობას. აზერბაიჯანელები მადლიერნი არიან ქართველი ხალხისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე, ეროვნული თუ სარწმუნოებრივი კუთვნილების მიუხედავად, გულუხვად გვიზიარებს ყველაფერს, რასაც მადლიანი ქართული მიწა იძლევა.

ბოლნისის რაიონში შეხვედრებმა და საუბრებმა საფუძველი მომცა ვთქვა, რომ საღი აზრი გამიმარჯვებს, რომ აზერბაიჯანელები დიდად აფასებენ ქართველთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასიათს — კეთილშობილებას და გონივრულობას, გულუხვობას და სამართლიანობას, კეთილმეზობლობას, ყოველგვარ პირობებში ბრძნულად განსჯას, რაც ჯიაერთხელ დაუდასტურებია ისტორიას.

აზერბაიჯანელთა და ქართველთა მეგობრობას მრავალსაუკუნოვანი ფესვები აქვს. ქართველი ხალხი ყოველთვის უყვარდათ და მადლიერებით იხსენიებდნენ აზერბაიჯანის გამოჩენილი შვილები მ. ფ. ახუნდოვი, დ. მამედყულიზადე, მირზა შაფი ვაზეხი, ნ. ნარიმანოვი, ნიაზი, რ. ბეიბუთოვი და მრავალნი სხვანი, რომლებმაც თავიანთი დიდი ცხოვრება საქართველოს მიწა-წყალზე დაიწყეს. აზერბაიჯანელ და ქართველ მწერლებს, პოეტებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს დღესაც დიდი მეგობრობა აკავშირებთ. სხვაგვარად ვერც იქნება.

ისტორიის მანძილზე ხშირი იყო ფაქტები, როცა აზერბაიჯანელები და ქართველები მხარდამხარ ებრძოდნენ უცხოელ დამპყრობლებს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს გაჭირვების ჟამს და მათ შორის მტრობა და გაუგებრობა არასოდეს ყოფილა.

ამ ძნელ დღეებში უნდა გამოვნახოთ იმის დადებითი მაგალითები, რომლებიც ჩვენს ურთიერთობაში ცოტა არ ყოფილა და ხელს უწყობენ ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დაახლოებას. შეგვიძლია გავიხსენოთ, თუნდაც, რაკიდ მამედოვის გმირობა, რომელიც ჭალადიდში, აბობოქრებული სტიქიის დღეებში, ხალხს გადარჩენის დროს დაიღუპა. ან მარნეულელები, რომლებმაც ბინები, რომელთა ორდერები უკვე ხელთ ეპყრათ, სტიქიით დაზარალებულ სვანებს დაუთმეს.

აზერბაიჯანელი მოსახლეობას დიდად ატკინა გული თბილისის 9 აპრილის ტრაგიკულმა ამბებმა და აჭარაში დატრიალებულმა უბედურებამ.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მუდამ ახსოვთ ქართველი ხალხის სამართლიანობა და ხელგაშლილობა, რომელმაც მათ ცხოვრებისა და შრომის ყოველგვარი პირობები შეუქმნა. ისინი ვმობენ ხულიგნებსა და პროვოკატორებს, რომლებიც უკანონო მოქმედებით ლახვარს სცემენ გარდაქმნასა და დემოკრატიას, აზერბაიჯანელთა და ქართველთა მეგობრობას.

ეს გარეწრები ჩვენი ხალხის წარმომადგენლები ხუ გეგონებთ, ისინი უწინარესად სწორად აზერბაიჯანელების პირწავარდნილი მტრები არიან. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ ამისათვის, რომ ვითარება გაჯანსაღდეს და ძველებურად მეგობრულად ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ქართველებთან ერთად.

სამსახურებრივი მოვალეობის გამო, წლების მანძილზე, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონთან მჭიდრო კონტაქტით მიმუშავნია. არასოდეს არ დამავიწყდება ის გულისხმიერება, რომელსაც ჩემდამი იჩენდნენ ამ რაიონების მშრომელები, როგორ მეხმარებოდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში.

დღეს ძალზე გვჭირდება საერთო ძალისხმევა იმისათვის, რომ გადაეწყვიტოთ რესპუბლიკის მშრომელებისა და საზოგადოებრიობის წინაშე მდგომი საერთო ამოცანები.

სამწუხაროდ, ცალკეული გარეწრები და პროვოკატორები ათასგვარ ხმებსა და მონაჩმახს ავრცელებენ, აღიზიანებენ ხალხს, ამწვავებენ ვითარებას, ხელს უშლიან პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების იმ ცდებს, რომ რაც შეიძლება სწრაფად აღკვეთოთ ძალადობა, წესრიგი დავამყაროთ და აღვადგინოთ ნდობა ადამიანებს შორის, რათა ყველა, ვინც სახლკარი მიატოვა, მშობლიურ კერას დაუბრუნდეს.

მინდა მთელი პასუხისმგებლობით აღვუთქვა ქართველ ხალხს, ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, რომ ცალკეულ პირთა უსაფუძვლო მოთხოვნები სრულიად არ გამოხატავს აზერბაიჯანელი მოსახლეობის აზრს, და დავმრბის გარდა, არაფერს იმსახურებს.

დრო მოითხოვს მთელი ჩვენი ზრახვები და მისწრაფებანი განმსჭვალოს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მზადების სულისკვეთებით, რათა ყურად ვიღოთ ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოწოდება, რომელიც 1989 წლის 1 ივლისს გაისმა ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას. ახლა ყოველ ჩვენგანს მოეთხოვება სიმშვიდე, სიდინჯე, ყოველმა ჩვენგანმა კონსტრუქციული წვლილი უნდა შეიტანოს აზრთა პლურალიზმში, კონფრონტაცია და ეროვნული შუღლის გაღვივება კი არაფერს გვარგებს.

დღეისათვის სტიქიურობას უკვე ბოლო მოეღო, მდგომარეობას კონტროლს უწევენ შესაბამისი ორგანოები. მე მგონია, ამ მხრივ უნდა მივესალმოთ ბოლნისის რაიონის აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობის წარმომადგენელთა უკვე დაწყებულ არაოფიციალურ დიალოგს, რომელიც ქართველი ამხანაგების ინიციატივით მოეწყო. იმედი ვიქონიოთ, რომ სიბრძნე და გონიერება აჯობებს ემოციებს და ამბიციებს, ერთმანეთისადმი ეჭვსა და წყენას.

დარწმუნებული ვარ, რომ შექმნილ სიტუაციაში ყველამ უნდა შეიკავოს თავი რაიონის საქმეებში ჩარევისაგან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვადან ისეთი გამოსვლისა და გამონთქვამებისაგან, რომლებიც შეიძლება ხალხმა სწორად ვერ გაიგოს და მდგომარეობის მოწესრიგებას ავნოს.

რესპუბლიკის ყველა აზერბაიჯანელი მოითხოვს: წამქეზებლები და პროვოკატორები დაუყოვნებლივ უნდა ვამხილოთ და მკაცრად მოვკითხოთ — კანონითაც და ზნეობრივადაც, და შედეგები ვაცნოთ მოსახლეობას.

ჩემი აზრი მინდა დავამთავრო ამხ. მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებით, რომლებიც ცენტრალური ტელევიზიით წარმოსთქვა: „ახლა ყოველ ჩვენგანს მოეთხოვება ამ საკითხებში უდიდესი პასუხისმგებლობა და პატიოსნება, რაც მთავარია — ქცევა და კონკრეტული საქმეები“.

მ. აბასოვი,

საქართველოს სსრ საავტომობილო და სახაოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი.

გარდმეტყველება:

ხელმძღვანელი რგოლი: ძრავებიდან ბიბლიოთეკაც

რედაქციის განაზრახი სრულიად გასაგები და ნათელი იყო. გადაწყდა, ერთ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს ვწვეოდით პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომს, აღმასკომს, რაიონის რამდენიმე დაწესებულებასა და ორგანიზაციას. გვინდოდა, საკუთარი თვალით გვენახა და გვეგრძნო, რა შინაარსს ატევს ახლა ეს „ჩვეულებრივი დღე“, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ სოციალურ-კულტურული გარდაქმნების მძლავრი პროცესის გამო, უამრავ პოზიტიურ ცვლილებასთან ერთად, ხშირად დინების ზედაპირზე უძრაობისას დაგროვილ ჭუჭყსაც ამოაციფცვივებს.

ცხადია, დღეკანდელი შთაბეჭდილებებით საბოლოო და სრულყოფილი დასკვნების გამოტანის პრეტენზია არა გვაქვს, ოღონდ ვერც იმას ვიტყვით, როგორც ჩანს, გამონაკლისს გადავეყარეთო.

პირიქით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ის დღე, იქნება გარეგნულად იმდენად არა, მაგრამ ამ შინაარსით ძალიან ჰგავდა სხვა დღეებს ისე, როგორც ერთი წვეთისა და იმ წყლის შემადგენლობის იდენტურობაზე ლაპარაკობენ ხოლმე, საიდანაც ის აიღეს.

მაშ ასე, დღეა სამშაბათი.

რედაქციის სამი თანამშრომელი მივეშურებით ჩვენი დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის საწარმო--დაწესებულებებში, რაიაღმასკომსა და პარტიის რაიონულ კომიტეტში.

პარტიის რაიკომში

ამ თანამედროვე, გარეგნულად არცთუ ისე მიმზიდველ შენობაში, რომელიც ჩვენი ცემენტის ბლოკებისაგან ნაშენები სახლებისგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ ჭერი უფრო მაღალი აქვს და უფრო მკვიდრად არის ნაგები, მთავარი მასპინძელი, რაღა თქმა უნდა, პარტიის რაიკომია, თუმცა მასაც ორი სართული აქვს დათმობილი ისევე, როგორც ცოტა უფრო ქვემოთ მობინადრე რაიაღმასკომს.

ვესტიბიულში შესულს სერგო ორჯონიკიძის რუხი ფერის, მძიმე, მასიური ბიუსტიდან გამომკრთალი მზერა შეგაჩერებს (თუმცა, ეგებ სულაც არ არის იგი ასე მძიმე და მასიური. ამას. ვერც გაიგებ, სანამ ხელს არ შეახებ!).

ეს ცივი, მაგრამ არამც და არამც არაფრისმთქმელი ქანდაკება, ცხადია, უეჭველად აღიბეჭდება აკაურობის „სავიზიტო ბარათზე“. იგი ერთგვარი წყალგამყოფია, რომელიც გაგრძნობინებთ, რომ საჭიროა საბოლოოდ ჩამობერტყოთ მხრებიდან პაპანაქება სიცხეში გამოვლილი ქუჩის მტვერი, გული საგულეში ჩაიტიოთ და, ცოტა არ იყოს, დინჯად შეუყვეთ კიბეს მეექვსე სართულისაკენ, სადაც პარტიის რაიკომის მდივნების კაბინეტებია.

რაც უფრო ზემოთ აღიხართ, შენობაში მით უფრო სიმშვიდე ისადგურებს, ჟღლისცემა კი ხშირდება. ერთგვარი გამოცოცხლება მხოლოდ რაიაღმასკომის თავმჯდომარის მისაღებში იგრძნობა. უფრო ზევით სრული სიწყნარეა. რაიკომის პირველი მდივნის მისაღები ოთახისწინა ჰოლში კანტიკუნტად გამოჩნდებიან აპარატის თანამშრომლები, უმთავრესად ახალგაზრდები. ზოგი მათგანი წამიერ მზერას შეავლებს უცხო კაცს და ისე ჩაივლის, ინტერესის გამომხატველი ძარღვიც არ გაკრთება სახეზე. საოცარია, მათი მიხვრა-მოხვრა, თვით ფეხის ხმაც კი არამც თუ აღოვებს, აძლიერებს სიჩუმის შეგრძნებას.

რედაქციიდან მოსული თანამშრომელი (ახლა იგი ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე გახლდათ და სხვა არაფერი) ეგრერიგად თამამად და გაბედულად ვერ შევიდა პირველი მდივნის მისაღებში, თუმცაღა „ცარიელ“ ოთახში ყოფნა ეს ერთი ოდენ ღირა, რაც თქმა უნდა, ეს ერთი ოდენ ღირა, ეს ერთი ოდენ ღირა... ბოლოს, ბოლოს, ეს ერთი ოდენ ღირა, ეს ერთი ოდენ ღირა...

პასუხისმგებლობისა და ავტორიტეტის წახნაგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდის ჩასარტყმელად, განა არ ვიცით, რომ ფორმალურად ვნიშნავთ პროპაგანდისტებს და მათ როლს ძალზე დიდად ვერ შეავფასებთ, როდესაც ტელევიზიით პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობს, რაზე თათბირობენ კრემლში ქვეყნის გამგებელნი!

როგორი უნდა იყოს პარტორგანიზაციის მუშაობა? როგორ უნდა ვიკარაუდოთ, თუ ვიწინასწარმეტყველოთ წლის დამდეგს, რაზე დაგვეირდება, ვთქვათ, მარტში საუბარი კომუნისტებთან? ვის სჭირდება ასეთი წინასწარი გეგმები და ანგარიშები? ეს კითხვები პასუხს ითხოვს.

მოკლედ, დღეს, როცა ასეთი ექსტრემალური ვითარებაა, ბუნებრივია, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ტრადიციული შუქ-ჩრდილებით ვერ დავკმაყოფილდებოდით, ვერც მათ პირადი პასუხისმგებლობის საკითხს გავამწვავებდით. რადგან, როგორც მოგვიანებით რაიკომში შეხვედრაზეც გავიკვა, რა უშაოლო პასუხი უნდა მოვკითხოთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, როცა პარტიის რაიკომების წინაშეც ზემდგომი ორგანოები ახლაღა აყენებენ საკითხს, იტვირთონ პასუხისმგებლობაცა და ყოველგვარი უფლება-მოვალეობანი თავიანთ რაიონებზე. სამაგიეროდ, მოქმედებდა ყველაფრის ზემოთ და ზემოთ შეთანხმების მექანიზმი და თავის ორმაგი დაცვის ინსტინქტი იმის შიშით— „მოგვიწონებენ კი?“, „სწორად გაგვიგებენ კი?“. დღეს ამგვარი შეშფოთება კვლავაც გაისმის, ოღონდ ზემდგომ ინსტანციებზე მეტად იმას გულისხმობს, მოგვიწონებს კი ხალხი, როგორ გაგვიგებს ამას ხალხი? ეს უკვე ახლებური ათვლის წერტილია და პროცესებს გაღრმავება სჭირდება, რომ თავის მხრივ ხალხმაც იგრძნოს პასუხისმგებლობა.

აქ უკვე ნათლად იკვეთება ამ მექანიზმის ნაკლი, რომელიც ყალიბდება ძირეულ რგოლებსა და ზემდგომ ინსტანციებს შორის. პირველადისათვის თანდათან მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება არ უნდა გახდეს ერთგვარი გათიშვის, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთმომთხოვნელობის შესაუსტების საფუძველი.

ორჯონიკიძის რაიონში ოთხი უმაღლესი სასწავლებელია. ვეწვეთ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს. რაკი სახელწოდება სრულად გითხარით, ვეუბრუნდეთ. როგორც ახალგაზრდებთან საუბარში გამოიკვეთა, დიმიტრი შიშნიაშვილს უკან დაზევა და საკუთარი შეცდომის აღიარებაც შეესძლებია. მაგალითად, სახალხო დეპუტატების არჩევნებისათვის მზადების დროს ინსტიტუტს ერთ-ერთი კანდიდატურა დაუსახელებია. ახალგაზრდებს თვით კანდიდატურის საწინააღმდეგო პრინციპულად არაფერი ჰქონდათ, მაგრამ საარჩევნო კანონის დარღვევით გამართული კრების ოქმის გაუქმებას მოითხოვდნენ. დიმიტრი შიშნიაშვილმა ყველაფერი გააკეთა ამ სამართლიანი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ინსტიტუტმა მიაღწია, რომ რუსული ფაკულტების სტუდენტები სწავლობდნენ ქართულ ენას. მოგეხსენებათ, პედაგოგიურ ინსტიტუტში ოთხ ენაზე მიმდინარეობს სწავლება და წლეულს ბინა ერ ენა ბაკალავრიატზე შემსვლელები მისაღები გამოცდების წინ გაიკვლან გასაუბრება-ჩათვლას ქართულ ენაში. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა აყენებს საკითხს, ინსტიტუტში სამმხრივი კათედრის უქონლობის გამო, მისი მცირერიცხოვანი სტუდენტი ვაჟები მიმაგრონ სხვა უმაღლეს სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე.

იყო შემთხვევა, რომ ახალგაზრდებმა უნდობლობა გამოუცხადეს თავიანთი ლექტორს, სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელს, თადარიგის პოლკოვნიკ აბრამ ბაქშს იმის გამო, რომ მან, როგორც საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორმა, წყალტუბოში დამსვენებელთათვის ჩატარებულ ლექციებზე სიცრუითა და ცინიზმით სავსე შეფასებები მისცა დედაქალაქში დატრიალებულ ტრაგედიას. ყმაწვილებმა ორი მღელვარე მიტინგი მოაწყვეს ამის გამო. იოლი არ იყო ამ სიტუაციაში ახალგაზრდებსა და მხედრული ცხოვრების ქარცეცხლგამოვლილ პიროვნებას შორის დგომა, მით უფრო, უპრეცედენტო გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ კომპრომისის უფლებაც არ ჰქონდათ და განაჩენი გამოიტანეს — აბრამ ბაქშმა დატოვა ინსტიტუტი.

ერთი სიტყვით, ინსტიტუტი აქტიური პოლიტიკური და სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობს, მას ჰყავს ეშმარიტად დემოკრატიული პრინციპებით არჩეული კომკავშირის კომიტეტი, ჰყავს თანამგრძნობი პროფესორ-მასწავლებლები, აქტიური ხელმძღვანელობა, და ამიტომაც სტუდენტები ძირითადად ინსტიტუტის კედლებში წყვეტენ თავიანთ პრობლემებს. ამ საკმაოდ გაბეჭდილ განცხადებისკენ ისიც გვიბიძგებს, რომ ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტში მისი რიგებიდან პროტესტის ნიშნად გასული ყმაწვილის ვიზიტს შევესწარით, თავისი „პროგრამით“ იყო მოსული და კომკავშირის კომიტეტის მდივნებს გია ჟორჟოლიანსა და ცირა ბარბაქაძეს ეკითხებოდა რჩევას, როდის დავაყენოთ ეს საკითხი, რა გავამწვავო და რაზე აჯობებს ერთხანს გაჩუმებაო. ეს იმგვარი საკითხებია, რომლებზეც ერთნაირად უნდა ფიქრობდნენ ქვემოურებიც და ზემოურებიც.

პედინსტიტუტიდან გეზი მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო საკავშირო ინსტიტუტისაკენ ავიღეთ. თუმცა ვიდრე იქ მივიდოდით, კუს ტბაზე მდებარე რაიონული ახალგაზრდობის კლუბის შენობაც მოვინახულეთ. დაკეტილი დაგვხვდა. კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი მირიან ცხვარაძე ამ ერთი წლის წინ დიდ იმედებს ამყარებდა კლუბის ამაქმედებაზე, მაგრამ ერთი წლის მანძილზე ვერ გაურკვევიათ, რა უფლება-მოვალეობები უნდა ჰქონდეს კლუბში საზოგადოებრივ კვების სამმართველოს და რა კიდევ კომკავშირის რაიკომს. ორი პატრონის ხელში რის ვაი-ვაგლახით გახსნილი კლუბი ფაქტობრივად უმოქმედოა.

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პარტიული კომიტეტის მდივანმა ვახტანგ სიჭინავამ გვიმეგზურა. ყველა კრების ოქმი არა, მაგრამ 19 ივნისს გამართული საგანგებო კრების №18 ოქმი კი ჩავიკითხეთ ბოლომდე. აქ აღნიშნულია, რომ ინსტიტუტის კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს საქართველოს მწერალთა კავშირის ა. წ. 15 ივნისს საერთო კრების მოთხოვნას ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 16 ივნისის ნომერში.

როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტკომმა გვითხრა, 14 აპრილს ჩატარებულ ღია პარტიულ კრებას ესწრებოდა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი. კრებაზე ბევრი საჭირბოროტო საკითხი დაისვა და თითქოს სამოქმედო გეგმაც გამოიკვეთა, მაგრამ რაიკომი შემდეგ აღარ დაინტერესებულა კონკრეტული საქმეებით და ყველაფერი ლაპარაკის დონეზე დარჩა. გადაუჭრელი საკითხი კი კვლავ მრავალია.

ინსტიტუტის ორმა თანამშრომელმა აპრილის ტრაგიკულ დღეებში, ხოლო ერთმა მოგვიანებით, სახალხო დეპუტატთა ყრილობის შემდეგ გადაწყვიტეს დაეტოვებინათ პარტიის რიგები. პირველი განცხადებები 12 და 13 აპრილს იყო დაწერილი, მაგრამ პარტკომმა ისინი შეგნებულად დაგვიანებით განიხილა, იქნებ დამშვიდდნენ და პოზიცია შეეცალონო ამხანაგებმა, მაგრამ მათი გადაწყვეტილება მტკიცე აღმოჩნდა.

ინსტიტუტს თავისი პრობლემაც ჰქონია და პარტკომი აქტიურად მუშაობს მისი გადაჭრისათვის. ფონიჭალაში შენდება და ნაწილობრივ უკვე მუშაობს ინსტიტუტის საცდელი ქარხანა. მისი სრული ძალით ამოქმედებას 800 კაცი დასჭირდება. ინსტიტუტი უკვე ფაქტის წინაშე დგას: გაეზარდა კადრებით დაკომპლექტება. ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებულია საცხოვრებელი კორპუსები და მუშა-მოსამსახურეებს ბინებსაც ჰპირდებიან, მაგრამ მუშახელი არ ჩანს.

მეორე მხრივ, როგორც თბილისის ტყავსაგალანტერეო ფაბრიკის დირექტორმა თამაზ ნინუამ გვითხრა, მათი ერთობლივი საწარმოს ჰოლანდიელ კომპანიონები ჩვენს წარმოება-დაწესებულებებთან კონტაქტების ძებნისას ეშურებიან, უპირველეს ყოვლისა, მუშახელს. ესე იგი, ჩვენ მუშახელი გვყოლია, ოღონდ მათაც სხვაგარი მიდგომა სჭირდებათ დღეს, მეტი პატივი უნდა ვცეთ მათ შრომას.

როგორც ავტობუსების №1 საწარმოში გვითხრეს, მათ უკვე ერთი წელია ბინა დაიღეს ნუცუბიძის ფერდობზე, მაგრამ დღემდე არა აქვთ სასმელი წყალი, გინდ დაგვიჯერეთ, გინდ არა, ავტოშემკეთებელმა, კომუნისტმა, სტუდენტმა კაცმა ტარიელ მოწონელიძემ გვითხრა: აი, ხომ ხედავთ, როგორი ამოსავრილი ვარ, საღამოს ბენზინით უნდა ჩამოვიბანო ეს და წყალს ვერ ვიშოვი, რომ კანი არ ამეწვას.

საშენ მასალათა კომბინატში ერთმა მუშაკაცმა გულისტკივილით გვითხრა: ჩვენში ლამის ყველამ უმაღლესი განათლება მაქვს, ცოდნისა და კვალიფიკაციის მიუხედავად, თავისი „დიპლომის“ ძალით ვაკავშ ნიკიძეს ოჯახი ეშენებოდა, ბინა ეშენებოდა, ეს ბინა ეკუთვნოდა ერთ-ერთ ინჟინერ-ტექნიკოსს

უკანასკნელი

საქართველოს იუწყება

7 ივლისი

უშიშროების საბჭოში

შეწყდეს დეპორტაცია!

ნიუ-იორკი. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დრმა შეშფოთება გამოთქვა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების გამო და დიდი წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ისრაელის მიერ პალესტინელთა დეპორტაცია.** ხუთშაბათს მიღებული რეზოლუციის თანახმად, რომელსაც მხარი დაუჭირა 14 მონაწილემ, ერთმა კი თავი შეიკავა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, უშიშროების საბჭომ მოუწოდა ისრაელს უზრუნველყოს უკვე დეპორტირებულ პირთა უსაფრთხო და დაუყოვნებელი დაბრუნება და სასწრაფოდ შეწყვიტოს ეს პრაქტიკა.

● საბერძნეთი

გაიმართება ახალი არჩევნები

ათენი. **ახალი არჩევნები გაიმართება ოქტომბერში მარტივი პროპორციული სისტემის საფუძველზე, რომელიც გამოიყენეს 18 ივნისს გამართულ არჩევნებში, განაცხადა ხუთშაბათს საბერძნეთის მთავრობის პრეზიდიუმის მინისტრმა ათანასიოს კანელოპულოსმა.** ახალი დემოკრატიის პარტიისა და მემარცხენე და პროგრესული ძალების კოალიციას შორის გარდამავალი მთავრობის ფორმირების შესახებ მიღწეული მორიგების თანახმად, ცვლილებას არ შეიტანენ არსებულ საარჩევნო სისტემაში.

მინისტრმა უარყო ახალი მთავრობის სამთვიანი მანდატის მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა. კანელოპულოსმა დაადასტურა, რომ კაბინეტს განზრახული აქვს რაც შეიძლება მალე აამოქმედოს საკონსტიტუციო პროცედურები სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის მმართველობის დროს მომხდარი სკანდალების გამოძიების დასაწყებად. ხუთშაბათს გამოაცხადეს გარდამავალი მთავრობის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები. შრომის ახალი მინისტრი გახდა თეოხარის პაპამარგარისი, კულტურის მინისტრი — გეორგიოს მილონისი.

მოკლედ

● **ტოკიო.** **გაზეთ „იომიურის“ მიერ გამოკითხულთა პარლამენტის მრჩეველთა პალატის დეპუტატობის კანდიდატებმა 28 ივლისს დანიშნული იმ პალატის არჩევნების წინ მოითხოვეს ხამომბმბარებლო გადახახადის გაუქმება ან გადასინჯვა.** გამოკითხვის მონაწილეთა დაახლოებით 68 პროცენტმა მხარი დაუჭირა მის გაუქმებას, ხოლო 30 პროცენტზე მეტმა — მის გადასინჯვას. ყველა საქონლისა და მომსახურების ხამპროცენტიანი გადახახადი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მთავრობამ შემოიღო აპრილში.

● **რომი.** **იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯულიო ანდრეოტიმ საერთაშორისო პრემია „შვიდობის ოქროს მედალი“ გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს ქვეყნად მშვიდობისათვის, ეკონომიკურ-ლტანიერებისა და უშიშროებისათვის ბრძოლის საქმეში მისი თვალსაჩინო დამსახურების აღიარების ნიშნად.**

● **მანაგუა.** **შეერთებულმა შტატებმა გააქტიურა ჯაშუშობა ნიკარაგუის ტერიტორიის თავზე ამისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავების გამოყენებით. როგორც აქ ეურნალისტებს სანდინისტური სახალხო არმიის სამხედრო დაზვერვის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა რიკარდო ულლოამ აცნობა, წლის დამდეგიდან ამერიკის საჰაეშუმო თვითმფრინავები 107-ჯერ შეიჭრნენ ნიკარაგუის საჰაერო სივრცეში და გადაუფრინეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონს.**

◆ აშშ

მოისპო ბოლო „პერშინგ-1ა“

ნიუ-იორკი. **ამერიკის შეერთებული შტატების არმიამ მოსპო თავისი არსენალიდან უკანასკნელი ბალისტიკური რაკეტა „პერშინგ-1 ა“.** ამრიგად, ამერიკის ისტორიაში პირველად მთლიანად მოისპო ერთ-ერთი სახეობის ბირთვული იარაღი. ეს ნაბიჯი გადადგა საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ 1987 წელს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების შესაბამისად.

„პერშინგ-1 ა“ მოსპეს 10 საბჭოთა ინსპექტორისაგან შემდგარი ჯგუფის თანდასწრებით არმიის ტყვია-წამლის ქარხანა „ლონგჰორნში“ ქალაქ მარშალის (ტეხასის შტატი) მახლობლად სათბობის სტატისტიკური გამოწვის მეთოდით, რომელაც მოაყვა კოროპუსის ნგრევა. ეს იყო მოსასპობად გათვალისწინებული ამ მოდიფიკაციის 169-ე და უკანასკნელი რაკეტა. გარდა ამისა, ხელშეკრულების ფარგლებში ისპობა ასზე მეტი მძლავრი „პერშინგ-2“ რაკეტა და მიწისზედა ბაზირების ფრთოსანი რაკეტა. იარაღის მსგავსი სისტემები ისპობა სსრ კავშირშიც.

ფესტივალი

„ოლომოუცი-89“

პრაღა. **ჩეხოსლოვაკიის დიდ სამრეწველო და კულტურულ ცენტრში — ოლომოუცში დაიწყო ბავშვთა გუნდების მე-18 საერთაშორისო ფესტივალი — „სამღერების დღესასწაული, ოლომოუცი-89“.** ფესტივალში მონაწილეობენ ბელგიის, ბულგარეთის, მონღოლეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ბავშვთა გუნდები. ზეიმში მონაწილეობს აგრეთვე დაახლოებით 400 თვალსაჩინო ჩეხოსლოვაკიელი და საზღვარგარეთელი კომპოზიტორი, ამ სიმღერების ტექსტების ავტორი პოეტები, მუსიკათმცოდნეები და მუსიკის მასწავლებლები. ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას სემინარებსა და შეხვედრებზე.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

მთავრობის კომისიის დასკვნა

ბიშკინარე წლის მარტში პრესა იუწყებოდა, რომ ქუთაისის ქარხანა „ავანგარდში“ მოხდა ადამიანების ჯგუფური მოწამვლა. მაშინ 68 კაცი, რომლებსაც აღმოაჩნდათ მოწამვლის ნიშნები, საავადყოფოებში მოათავსეს. 28 მაისისათვის საავადყოფოში დარჩენილი იყო 3 კაცი, დანარჩენები გამოწერეს.

ამ შემთხვევის გამო შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობის კომისია, რომელმაც ამ დღეებში დასრულა მუშობა. კომისიის დასკვნის თანახმად, ქუთაისის ქარხანა „ავანგარდის“ მუშაკთა ჯგუფური პროფესიული მოწამვლა მოხდა იმის გამო, რომ უხეშად დაირღვა უსაფრთხოების ტექნიკის წესები და შრომის პირობები ტოქსიკური პრეპარატებისა და ადვილადმტვრევადი სითხეების შენახვისა და მათთან მუშაობის, ეთილირებული სპირტის გამოყენებისა და არადანიშნულებისამებრ სპრეტ-ბენზინის ხმარების დროს, რასაც მოჰყვა იმ ტოქსიკურ ნივთიერებათა ყოველდღიური ადსორბაცია და დაგროვება სამუშაო ზონის ჰაერში, რომელთა ძირითადი კომპონენტებია ნახშირწყალბადები; აგრეთვე იმის გამო, რომ მოწამვლის დღეს ისედაც ნაკლებეფექტიანი სვინტილაციო სისტემა დაგვიანებით — მუშაობის დაწყებიდან 15-20 წუთის შემდეგ ჩართეს.

ქარხნის მუშაკების მოწამვლა ძირითადად მოხდა მათ ორგანიზმზე ნახშირწყალბადების ტოქსიკური ორთქლის გავლენით, რაც მთლიანად ემთხვევა დიაგნოზს, რომელიც დადგინეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტის კლინიკის სამედიცინო სამსახურებმა, სადაც მოათავსეს 68 დაზარალებულიდან 11 კაცი, რომლებსაც აღმოაჩნდათ პროფდაავადების ყველაზე მძიმე ფორმები, აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფპათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების გამგემ პროფესორმა ი. ი. მუსეიჩუკმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომელმაც თავის სხდომაზე განიხილა ამ შემთხვევის საკითხი, ცნობად იღო, რომ ქარხნის მთავარ ინჟინერს ამხ. სულუხიას გამოუცხადეს საყვედური, ქარხნის დირექტორს ამხ. ღუდუშაურს — საყვედური.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა ქარხანა „ავანგარდის“ ხელმძღვანელობასთან ერთად დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელთა მონაწილეობით შეიმუშაოს ამ საწარმოში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც გამორიცხავენ ამგვარი შემთხვევების განმეორებას.

ცნობად არის აგრეთვე მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის პროკურატურა იძიებს ამ ფაქტს.

(საქინფორმი).

ქართველი მეცნიერი საერთაშორისო გეოთერმული ასოციაციის წევრია

ახალი, ახლახან შექმნილი საერთაშორისო გეოთერმული ასოციაციის წევრად არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის მინერალური და თერმული წყლების განყოფილების გამგე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. გურამ ბუაჩიძე.

— დედამიწის თერმული რესურსების შესწავლის დარგში მომუშავე სპეციალისტთა შეხვედრა შედგა იტალიის დაბა კასტელნუსვოში, — თქვა მკვლევარმა. — აქ შეიკრიბნენ მთელ მსოფლიოში ცხობილი ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკისა და ცხელი წყალმომარაგების საჭიროებისათვის დედამიწის სიღრმული სითბოს დაზვერვის, შესწავლისა და პრაქტიკული გამოყენების დარგის მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც წარმოადგენენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ახალ ზელანდიას, ინგლისს, მექსიკას, ისლანდიას, იაპონიას, მრავალ სხვა ქვეყანას.

ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში მთელ მსოფლიოში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება გეოთერმული ენერგია იაფი ელექტრო და სითბური ენერგიის გამომუშავების, წყლის გათბობისათვის, სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებში. ამჟამად ძალზე გავრცელდა ვამტკიცოთ, თუ დასავლეთის რომელ ქვეყანაში გამოიყენება ყველაზე უფრო ეფექტიანი მიწისქვეშა „საქვაბეების“ განახლებადი რესურსები — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისლანდიასა თუ იაპონიაში. მეცნიერები ახლა სულ უფრო თამამად იწყებენ ლაპარაკს იმაზე, რომ დედამიწის ბუნებრივ სითბოს, როგორც ენერგიის წყაროს, ჩვენს პლანეტაზე არ ჰყავს კონკურენტი. მაგრამ ადამიანები მხოლოდ ახლა სწავლობენ ამ ენერგიის ფართოდ გამოყენებას. შექმნილი ასოციაციის ერთ-ერთი ამოცანაა დედამიწის წიაღის, როგორც ეკოლოგიურად სუფთა, ენერგიისა და სითბოს განახლებადი წყაროს გამოკვლევაში ჩაბმან სხვადასხვა ქვეყნის რაც შეიძლება მეტი სპეციალისტი.

საბჭოთა მეცნიერები, კერძოდ, ქართველი მეცნიერები, უკვე მრავალი წელია თანამშრომლობენ საზღვარგარეთელ კოლეგებთან გეოთერმიის დარგში. ისინი დაინტერესა რგსუბლიკის მეცნიერთა ნამუშევრებმა სათბურებისა და შენობების გათბობის მიზნით გეოთერმული წყაროების დაზვერვისა და გამოყენებისათვის. მაგრამ ეს იყო კარგა ხნის წინათ. მას შემდეგ დასავლეთის ქვეყნები შორს წავიდნენ წინ სახალხო მეურნეობაში გეოთერმული წყლების გამოყენების საქმეში, ჩვენ კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, რომლებიც ყოველთვის როდი იყო ობიექტური, ვერაფრით ვერ ვახერხებთ მოვაგვაროთ მუშაობა ენერგეტიკის ამ მნიშვნელოვან დარგში. და ეს მარტო საქართველოს კი არა, მთელ საბჭოთა კავშირსაც ეხება. დამაომებელია ერთი რამ. საზღვარგარეთელ კოლეგებთან ჩვენი შეხვედრები მოწმობს, რომ სამეცნიერო ნამუშევართა დარგში ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. მაგალითად საბჭოთა, და მათ შორის ქართველმა მეცნიერებმა შეადგინეს კავკასიონისა და სხვა კავშირის ევროპული ნაწილის დაწვრილებითი გეოთერმული რუკა. საზღვარგარეთელ კოლეგებთან ერთად შედგენილია ევროპის სითბური ნაკადების რუკა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სპეციალისტებს ხელში აქვთ სითბოს ამოუწურავი მიწისქვეშა „საკუჭნაოების“ გასაღები“.

იმედი მაქვს, — თქვა დასასრულ გურამ ბუაჩიძემ, — რომ ჩვენი მონაწილეობა გეოთერმიის დარგის მეცნიერებისა და სპეციალისტების საერთაშორისო ასოციაციის მუშაობაში მოაახლოებს იმ დღეს, როცა საქართველოში ამოქმედდება განახლებადი და ეკოლოგიურად სუფთა დედამიწის წიაღის სითბურ ენერგიაზე მომუშავე პირველი ელექტროსადგური. (საქინფორმი).

ეკო

მოვუწოდებ ყველას, ყველას!

საბირობა ქართველთა გამრავლება, სწორედ ამას მოგვიწოდებს ფერალი და მეცნიერი, საქართველოს დემოგრაფიული ფონდისა ბოლოდროინდელ ლევან სანიკიძე და ამასთანავე ითხოვს შესაწირავს დემოგრაფიული ფონდისათვის, თუმცა ამ საშვილშვილო საქმეში არც თხოვნაა საჭირო და არც მოთხოვნა, ჩვენც ხომ ვგრძნობთ, რომ „სამშობლო საქართველო საფრთხეშია, ჰანიბალი კარიბეზეა!“.

ჩემო კოლეგებო, პედაგოგებო, პირველ რიგში ჩვენ გვევალება საგანგაშო ზარების რამოკვრა, საფრთხის თავიდან აცილებაში შეეიტანოთ წვლილი. პირადად მე დემოგრაფიულ ფონდში შემაქვს ჩემი სააჯახო ბიუჯეტის დანაზოგი 500 მანეთი. ვეცდები ამდენივე თანხა შევიტანო ყოველი სასწავლო წლის მიწურულს.

ნინო მაცაბერიძე,

თბილისის მე-80 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას 1989 წლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის მოსაპოვებლად.

საკონკურსოდ მიიღება ნამუშევრები, რომლებიც მთლიანად გამოქვეყნებულია (ნაჩვენებია, აგებულია) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, 1989 წლის 1 ივლისამდე.

კანდიდატურათა წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1989 წლის 1 ოქტომბერი.

კომიტეტი სთხოვს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ კანდიდატურების შერჩევას, საკონკურსოდ წარმოადგინონ ლიტერატურის, ხელოვნების, არქიტექტურისა და პუბლიცისტიკის დარგების ის ნაწარმოებნი, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებაში.

წარდგინება უნდა მოხდეს ნაწარმოებთა იდეური და მხატვრული დონისადმი დიდი მომთხოვნელობის, ცალკეული ავტორებისა და ავტორთა კოლექტივების ნამუშევრების დასაბუთებული ობიექტური განხილვის საფუძველზე.

ცნობებისათვის მიმართეთ: 380018, თბილისი, რუსთაველის პრ. 9. ტელეფონები: 99-64-82, 99-06-36, 99-76-04, 99-91-45.

კუდრაბა. **ჩურაბ დათუაშვილის ფოტო.**

ფეხბურთი

ლიდერი წინ მიიწევს

უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი თბილისის დინამოელებმა ხარკოვში, ადგილობრივ „მეტალისტთან“ გამართეს და დამარცხდნენ — 1:2 (0:1). ჩემპიონატის ლიდერმა — მოსკოვის „სპარტაკმა“ სტუმრად მოუგო ლენინგრადის „ზენიტს“ 5:1 და კიდევ უფრო დაწინაურდა. ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: დუშანბეს „პამირი“ — ვილნიუსის „ჟალგირისი“ — 1:0, მოსკოვის „დინამო“ — მინსკის „დინამო“ — 1:1, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 2:1, ვოლგოგრადის „როტორი“ — ერევნის „არარატი“ — 2:0.

დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“	16	11	4	1	33-8	26
„დნეპრი“	16	9	4	3	18-11	22
„ტორპ.“	16	7	7	2	18-9	21
„ქალგ.“	17	8	3	6	22-18	19
„დინ.“ კ.	15	7	5	3	18-10	19
„მეტალ.“	16	7	4	5	17-13	18
„ჩერნ.“	16	6	6	4	19-18	18
„დინ.“ მნ.	17	6	4	7	17-17	16
„დინ.“ მ.	16	5	6	5	23-17	16
„დინ.“ თბ.	16	4	6	6	15-16	14
„შახტ.“	16	5	3	8	11-16	13
„არარატი“	16	5	3	8	13-23	13
„როტორი“	16	4	5	7	13-17	13
„პამირი“	16	3	6	7	11-23	12
„ზენიტი“	17	3	4	10	11-29	10
„ლოკომ.“	16	2	4	10	9-20	8

სპორტის ამბები

პირველ ლიგაში

კირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მე-20 ტურში ყურადღებს ცენტრში იყო ბაქოს „ნეფთჩისა“ და ლენინაკანის „გურიის“ შეხვედრა. ქართველმა ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ წაგებას მაინც ვერ გადაურჩნენ — 0:1. ამ მარცხის ძიუხედავად, ლანჩხუთელთა სატურნირო მდგომარეობა სტაბილურია. და იმედია გუნდი. ახალი ძალით გააგრძელებს ბრძოლას უმაღლესი ლიგის საგზურისათვის. ამ ტურში წარმატებით ითამაშა ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენმა ორმა გუნდმა: ქუთაისის „ტორპედომ“ მოუგო კემეროვოს „კუზბასს“ — 4:0, ბათუმის „დინამომ“ — იაროსლავლის „შინიკს“ — 3:1. სხვა მატჩები: „კოტაიკი“-ცსკა — 0:1, „მეტალურგი“-„როსტსელმაში“ — 1:1, ასკ როსტოვი-„ფაკელი“ — 1:2, „სპარტაკი“-სტავროპოლის „დინამო“ — 4:2, „ყუბანი“-„გეოლოგი“ — 0:1, „კაირატი“-„ფანთაჩორი“ — 1:0, „ნისტრუ“-„კარპატი“ — 3:1, „ტავრია“-„დაუგავა“ — 2:0.

ინსბრუკის ტურნირზე

საქართველოს ჰაბუკი ფეხბურთელები, ჩვეულებრივ, წარმატებით გამოდიან საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე. ამ დღეებში ინსბურგში სპატიო გამარჯვება მოიპოვა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდმა. ჩვენმა სპორტსმენებმა ავსტრიის ამ ქალაქის პირველ საერთაშორისო ტურნირში ისპარეზეს და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობდა. ისინი თავდაპირველად სამ ჯგუფად თამაშობდნენ. თბილისელებმა ჯგუფში მოუგეს ლანტბერგის (გფრ) ასკ-ს — 2:0, მიუხეხენის „ბაიერნს“ — 1:0, ზალცბურგის (ავსტრია) ასკ-ს — 2:0, შემდეგ დაამარცხეს მასპინძელთა გუნდი — 2:0, ბოლო შეხვედრა კი ფრედ (0:0) დაამთავრეს კემპტენის (გფრ) ფეხბურთელებთან და პირველ ადგილზე გავიდნენ. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა მერაბ რეხაძე, რომელმაც მეტოქეთა კარში 5 გოლი გაიტანა.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, ზოგან — ძლიერი, ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 5-10 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 23-28, მთაში 13-24, მაღალმთიანეთში 10-15 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცალკეებდი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ალგა-ალაგ 20-25 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 24-29, მთაში 19-24, მაღალმთიანეთში 13-18 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, საღამოს და ღამის საათებში ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 15-20, ქალაქის გარეუბნაში 20-25 მეტრი წამში, ტემპერატურა 27-29 გრადუსი.

რედაქტორი

ნ. ჩერქეზიშვილი.

ორშაბათი

10 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 16.25 — დოკუმენტური ფილმი „ქიმიური განგაში“. 16.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ჯადოსნური მემკვიდრეობა“. 18.05 — განცხადებები. 18.10 — მოსწავლეთათვის „საუკუნეები და თაობები“. 19.25 — საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.35 — ბახი. დუეტი ალტებისათვის. 20.45 — რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ვალი“. I მოქმედება. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ვალი“. II მოქმედება. 23.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ავტოპორტრეტი“.

მეორე პროგრამა. 15.35 — მხატვრული ფილმი „ხუთი საღამო“ (ქართულ ენაზე). 17.10 — ქართული მხატვრული ფილმი „რატილი“. 18.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.40 — მხატვრული ფილმი „ხომალდის საათის საიდუმლოება“. 21.00 — დოკუმენტური ფილმი „თავდასხმის საშიშროება“.

სამშაბათი

11 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.30 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 17.05 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „მაყურებლის საყვარელი მსახიობი“. 18.25 — სტუდია „დიალოგი“. 19.05 — ქართული მუსიკის სიახლენი. 19.35 — ძილისპირული. 19.50 — მოამბე. 20.25 — აქტუალური ეკრანი. საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. 21.05 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. ლენინგრადის „ზენიტი“ — თბილისის „დინამო“. 10 ივლისის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „უჩვენებს სატელევიზიო თეატრი“. მ. ჯავახიშვილი — „თეთრი კურდღელი“. 23.40 — ჩვენი საუკენე გიცავს უახლესი.

მეორე პროგრამა. 9.35 — ა. ბორინი. „განაჩენი“. სატელევიზიო სპექტაკლი. 10.50 — ქართული მხატვრული ფილმი „არდადეგები“. 11.55 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.25 — მხატვრული ფილმი „ქალაქელი გოგონა“.

ოთხშაბათი

12 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. ქართული მხატვრული ფილმი „ინდი-მინდი“. 17.45 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“. სატელევიზიო ჟურნალი. 18.20 — განცხადებები. 18.25 — ხალხური შემოქმედება. „მღერის ანსამბლი „ოჯალეში“. 19.00 — „თქმა მართლისა...“. 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი გადაცემაზე „თქმა მართლისა“. 21.35 — სტუმრად საოპერო სტუდიაში. 21.55 — პროგრამა მეორე დღისათვის. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ალია 15 წლისაა“ (განმეორებით). 23.50 — ა. ბალანჩივაძის მეორე სიმფონია.

მეორე პროგრამა. 9.35 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — კიევის „დინამო“. 11.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ციცინარის ზარები“. 12.20 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 14.25 — მხატვრული ფილმი „ალმანზორის ბეჭდები“ (ქართულ ენაზე).

ხუთშაბათი

13 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ქვესკნელის უფლისწულის საცოლე“. 17.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 17.20 — „მისხალ-მისხალ გულსაყრელო, მინავ“... 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — სტუდია „დიალოგი“. 21.35 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ქართველები ცაში“.

მეორე პროგრამა. 9.40 — მხატვრული ფილმი „ჯადოსნური მემკვიდრეობა“. 11.00 — დოკუმენტური ფილმი „იური გრიგოროვიჩი“. 12.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ავტოპორტრეტი“. 12.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.25 — დოკუმენტური ფილმი „აღსარება“.

პარასკევი

14 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ათლეტიზმი. 16.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „როცა გოლიათი გავხდები“. 18.00 — შუქნიშანი. 18.20 — „ხომლი“. სატელევიზიო ლიტერატურული ჟურნალი. 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე. მეთექვსმეტედფინალი. თბილისის „დინამო“ — ნამანგანის „ნოვიბახსონი“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. 21.45 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საფრანგეთის ტელევიზიის პროგრამა. 23.40 — სპორტული პროგრამა „45 წუთი“.

მეორე პროგრამა. 9.35 — მხატვრული ფილმი „მაყურებლის საყვარელი მსახიობი“. 10.55 — დოკუმენტური ფილმი „აფრიკული ნადირობა“. 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 12.10 — ქართული მხატვრული ფილმი „უკვდავების თეთრი ვარდი“. 13.15 — მხატვრული ფილმი „აუტანელი ბავშვები“. 14.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პალესტინა“.

შაბათი

15 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.35 — გასართობი პროგრამა. 10.20 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 10.50 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ზღაპრების მეჯლისი“. 12.00 — „თეატრალური ფოსტა“. 13.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რკინა“. 13.15 — ხალხური შემოქმედება. „ერთი სიმღერის ფესტივალი“. 13.20 — საინფორმაციო გამოშვება. 13.30 — მოსწავლეთათვის. „ბაბა, დელია“. 14.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.20 — „ახალგაზრდობა“. სატელევიზიო პროგრამა. 15.00 — ტელემაყურებელი და საერთაშორისო ცხოვრება. 15.45 — ხალხური შემოქმედება. „ერთი სიმღერის ფესტივალი“. 15.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.10 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.00 — ხელოვნების ლექტორიუმი. 17.30 — კონცერტი. 18.00 — შეხვედრა მწერალ რეზო ჭეიშვილთან. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ბუნება შველას ითხოვს“. 21.05 — დიალოგი რ. თაბუკაშვილთან (განმეორებით). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ილუზიონი“.

კვირა

16 ივლისი

პირველი პროგრამა. 10.10 — გასართობი პროგრამა. 11.00 — გარდაქმნის წახნაგები. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — „მუსიკალური კალენდრის ფურცლებზე“. 13.00 — საკვირაო გამოფენა. 13.05 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.35 — მოსწავლეთათვის. სოფელ მისაქციელის ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი. 13.55 — საკვირაო გამოფენა. 14.00 — „ვესტნიკი“. 14.30 — ახალგაზრდობისათვის. „მიზანი — მომავლის სკოლა“. 15.40 — საკვირაო გამოფენა. 15.45 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 16.20 — „საუბრები არქეოლოგიაზე“. 16.50 — „ცისა ფერს“. სამეჯლისო ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი. 18.15 — „ჯანმრთელობა“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „გზანი დავითისანი“. 20.55 — აქტუალური ეკრანი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გამარჯობა, ექიმო!“. 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა